

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N085-16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

კატერინე ჯინჭარაძე (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები

ადვოკატმა კლიენტს იურიდიული მომსახურება გაუწია სიხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ, შეუდგინა საჩივარი პროკურატურაში წარსადგენად. კლიენტის პრეტენზია ეხებოდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საქმეზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებას. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს აცნობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით მისი საქმე გაითხოვა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა. კლიენტმა მიმართა გლდან-ნამალაძევის სამმართველოს ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად. სამმართველოს წერილობით პასუხში დადასტურდა, რომ გლდან-ნამალაძევის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობდა კლიენტისა და ადვოკატის საჩივრის წინასაგამოძიებო მასალების განხილვა.

ასევე, ადვოკატმა კლიენტი დაადანაშაულა ნდობის და კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევაში. კერძოდ, ადვოკატი კლიენტის საქმეს აწარმოებდა საკუთარ პრაქტიკანტ ადვოკატთან ერთად, რომელსაც კლიენტი არ იცნობდა და რომელთანაც კლიენტი არ შეთანხმებულა საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იყო შემდეგი ნორმები: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების შემდეგ ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კლიენტს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალოდ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს, ის ენდობა ადვოკატს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს სწორ ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საქმესთან დაკავშირებული არასწორი ინფორმაციის მიწოდება ხელყოფს ნდობის პრინციპს და აზიანებს კლიენტის ინტერესებს. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტს აცნობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით მისი საქმე გაითხოვა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა. სამმართველოს წერილობით პასუხში დადასტურდა, რომ გლდან-ნამალაძევის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობდა კლიენტისა და ადვოკატის საჩივრის წინასაგამოძიებო მასალების განხილვა. შესაბამისად, ადვოკატმა საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებით კლიენტს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, რითაც დაარღვია ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება და ნდობის პრინციპი.

¹ https://www.gba.ge/pdf/5c63c33272f5b.pdf/085-16_19.06.2017%20kerzo%20sarekomendacio.pdf

ეთიკის კომისიამ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად არ მიიჩნია ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის წარმოება პრაქტიკანტ ადვოკატთან ერთად, რადგან პრაქტიკანტი არის ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისთვის მოწვეული პირი, რომლის ვალდებულებაც იგივე სტანდარტით დაიცვას კლიენტის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.5.

3.დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა განახორციელა კლიენტის მიმართ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურება, ასევე ადვოკატმა დაიცვა კონფიდენციალობის პრინციპი, რითაც არ დაურღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება და ნდობის პრინციპი. ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6. ეთიკის კომისიამ ადვოკატს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.